# გადაწყვეტილება

N გ-23-7/380
17/08/2023

380-გ-23-1-4-202308171644

**რადიომოყვარულ გოჩა შეწირულისთვის რადიოელექტრონული საშუალებებისა და მაღალსიხშირული მოწყობილობების გამოყენებისთვის სახმობის მინიჭების შესახებ**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდეგში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიას განცხადებით (კომისიაში რეგისტრაციის № შ-23-9/2638, 11.08.23) მიმართა მოქალაქე გოჩა შეწირულმა (მცხ. ქ. თბილისი, წერეთლის პრ. 73, ბ.58) სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებისთვის სახმობის მინიჭების თაობაზე.

კომისია აღნიშნავს, რომ გოჩა შეწირული არის „A“ კატეგორიის რადიომოყვარული და კომისიის 2018 წლის 14 ივნისის № 355/7 გადაწყვეტილებით მინიჭებული აქვს სახმობი 4L4GG, მინიჭებული სახმობის ვადის გასვლასთან დაკავშირებით, იგი ითხოვს მისი ხელახალი ვადით მინიჭებას.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის $47^1$ მუხლის პირველი პუნქტის, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ $51^5$ მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, კომისიამ კენჭრისყრის შედეგად ერთხმად

**გადაწყვიტა:**

1. მიენიჭოს რადიომოყვარულ გოჩა შეწირულს სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებისთვის და დანართში (თან ერთვის) მითითებულ სიხშირულ დიაპაზონებში საქმიანობისთვის, სახმობი, ცხრილში აღნიშნული მონაცემების შესაბამისად 5 წლის ვადით **2023 წლის 17 აგვისტოდან 2028 წლის 17 აგვისტომდე:**

| რეგისტრაციის № | რადიოსადგურის მფლობელი | რადიოსადგურის განთავსების ადგილი | სახმობი | კატეგორია |
|---|---|---|---|---|
| A1 - 014 | გოჩა შეწირული | ქ. თბილისი, წერეთლის პრ. 73, ბ.58 | **4L4GG** | **„A“** |

2. რადიომოყვარული გოჩა შეწირული, რადიომოყვარულთა საერთაშორისო გაერთიანების (IARU)მოქმედი ინსტრუქციების შესაბამისად, ვალდებულია დაიცვას ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) მიერ განსაზღვრული რადიოსამოყვარულო სამსახურის რეგულირების ზოგადი პრინციპები და ასევე სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განხორციელების წესები;

3. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას გადაწყვეტილების მოქალაქე გოჩა შეწირულისთვის გაგზავნა და კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება;

4. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე;

5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64) მოქალაქე გოჩა შეწირულისთვის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;

6. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის ავტორიზაციისა და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი).

კახი ბექაური

თავმჯდომარე

ეკატერინე იმედაძე

წევრი

ნათია კუკულაძე

წევრი

ივანე მახარაძე

წევრი

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE • კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა